რეზიუმე

“სურსათის ნარჩენების მართვის კონცეფცია” შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-ის IV ფაზის ფარგლებში.

2023 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ ეტაპზე, დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოშობის პრევენციას, მათ შემცირებას და სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების წახალისებას. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ვალდებულების ფარგლებში სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების ოთხწლიან კონცეფციას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტი.

შინაარსი

რეზიუმე 1
1. შესავალი 4
2. მიზნები 5
3. სიტუაციური ანალიზი 5
3.1.FLW-ის სტატუსი საქართველოში 5
3.2.სურსათის დონაციის და გადანაწილების პოტენციალი 6
3.3.კანონმდებლობა და პოლიტიკა 7
4. ხედვა და პრინციპები 9
4.1.ხედვა 9
4.2.ძირითადი პრინციპი 9
4.3. ამოცანები 9
5. სექტორული პრიორიტეტები 10
5.1. პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო 10
5.2. სურსათის მიწოდების ჯაჭვში თანამშრომლობის წახალისება 11
5.3. სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შესახებ მონაცემების შეგროვება 11
5.4. საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება 12
6.FLW-ს წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეთა შესაძლებლობების განვითარება 12
7. სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების ინტეგრირება ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკებში 13
8. განხორციელების ჩარჩო 14
8.1.მონაწილე მხარეების როლი და პასუხისმგებლობები 14
8.2.ძირითადი საქმიანობები და შედეგები 15
9. კონცეფციის განხორციელების ვადა 17
დასკვნა 17

გამოყენებული აბრევიატურები

CSO	(A Civil Society Organization)	-	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
EU	(European Union)	-	ევროკავშირი
FAO	(Food and Agriculture Organization)	-	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
EFBA	(European Food Banks Federation)	-	ევროპული სურსათის ბანკების ფედერაცია
FLW	(Food Loss and Waste)	-	სურსათის დანაკარგები და ნარჩენები
GHG	(Green House Gases)	-	სათბურის აირები
GEOSTAT	(National Statistics Office of Georgia Tbilisi)	-	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
IPCC	(Intergovernmental Panel on Climate Change)	-	კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი
ISET	(International School of Economics at TSU)	-	ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა "აისეტი"
IFWC	(The International Food Waste Coalition)	-	სურსათის ნარჩენების საერთაშორისო კოალიცია
LAG	(Local Action Group)	-	ადგილობრივი განვითარების ჯგუფები
MEPA	(Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia)	-	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NFA	(National Food Agency)	-	სურსათის ეროვნული სააგენტო
PPP	(Public-Private Partnerships)	-	კერძო-საჯარო პარტნიორული ინიციატივები
UNEP	(The United Nations Environment Programme)	-	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
UNFCC	(United Nations Framework Convention on Climate Change)	-	გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ

„სურსათის ნარჩენების მართვის კონცეფცია „

(პროექტი. 14.11.2024)

1. შესავალი

სურსათის დანაკარგები და ნარჩენები (შემდეგში - FLW) თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევას წარმოადგენს. დღეისათვის, ყოველდღიურად, დიდი რაოდენობით საკვებად ვარგისი სურსათი იკარგება და/ან ნაგავში იყრება, მაშინ როცა მსოფლიოს მაშტაბით, შიმშილის წინაშე მყოფი ადამიანების რიცხვი კვლავ მზარდია. (FAO, 2024).

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) 2024 წლის ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს, მსოფლიოში სურსათის ნარჩენები დაახლოებით 1.05 მილიარდ ტონას შეადგენდა, რაც შემდეგნაირად ნაწილდება:

- სურსათის ნარჩენების დაახლოებით 60% მოდის ოჯახებზე (79 კგ ერთ ადამიანზე წელიწადში), სულ - 631 მილიონი ტონა;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტები - დაახლოებით 28% (36 კგ ერთ ადამიანზე წელიწადში), რაც შეადგენს 290 მილიონ ტონას.
- საცალო ვაჭრობის სფეროზე - დაახლოებით 12% (17 კგ ერთ ადამიანზე წელიწადში), სულ - 131 მილიონ ტონა.

სურსათის დანაკარგები და ნარჩენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე, გარემოზე და სოციალურ მდგომარეობაზე.

- **ეკონომიკური ზეგავლენა** - FLW გავლენას ახდენს სურსათის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილეზე, მათ შორის მომხმარებლებზე, რაც დაკავშირებულია ნედლეულის, მზა პროდუქტის, ენერგიისა და შრომითი რესურსების დანაკარგებთან. ყოველწლიურად FLW -ის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე დაახლოებით 1 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს (UNFCC, 2024).
- **გარემოსდაცვითი ზეგავლენა** - მოიცავს რესურსების, მათ შორის წყლის, ნიადაგის და ენერგიის დანაკარგებს სურსათის წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, სათბურის აირების (GHG) გამოყოფის და FLW-ის განადგურების გარემოსდაცვით ხარჯებს. გარდა ამისა, სურსათის ნარჩენების ლპობისას წარმოიქმნება მეთანი, რომელიც გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე. გლობალურად, FLW წარმოადგენს სათბურის აირების ემისიის 8-10%-ის წყაროს (IPCC, 2019).
- **სოციალური ზეგავლენა** - დღეისათვის მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილისა და არასაკმარისი, არასრულფასოვანი კვების პრობლემის წინაშე დგას. FLW ზრდის მოსახლეობის უთანასწორობას და ამცირებს სასურსათო

უსაფრთხოებას, ასევე სირთულეებს უქმნის სურსათის მწარმოებელ მოწყვლად ოჯახებს. ამდენად, FLW-ის შემცირება მორალურ/ეთიკურ საკითხსაც წარმოადგენს.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თანახმად, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს, FLW-ის შემცირება ერთერთი ძირითადი საკითხია მდგრადი განვითარების მე-12 მიზნის მისაღწევად, რითაც, 2030 წლამდე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სურსათის წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვში, FLW-ის შემცირება.

ამრიგად, FLW-ის შემცირება ხელს შეუწყობს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის გაძლიერებას. FLW-ის შემცირება გადამწყვეტია ასევე რეგიონში აგროსასურსათო სისტემების ტრანსფორმაციისთვის, რაც გულისხმობს მათი ეფექტიანობის, მდგრადობის, გამძლეობისა და ინკლუზიურობის გაზრდას. ასევე, FLW-ის შემცირება გადამწყვეტია სურსათის მიწოდების ჯაჭვების გამწვანებისა და სურსათის წარმოებისა და მოხმარების კლიმატური ანაბეჭდის შემცირებისათვის (FAO, 2024).

2. მიზნები

კონცეფცია მიზნად ისახავს:

- საქართველოს აგროსასურსათო სისტემებში FLW-ის შემცირების კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბებას და სრულყოფას;
- შემდგომი განვითარებისათვის მიკვლევადი დონაციის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას;
- მოწყვლად ჯგუფებამდე ჭარბი, უვნებელი სურსათის ეფექტურად მიწოდებას;
- დაინტერესებული მხარეების და მონაწილეების ცნობიერების ამაღლებას;
- პარტნიორობის გაძლიერებას კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

3. სიტუაციური ანალიზი

3.1.FLW-ის სტატუსი საქართველოში

- **მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგები**

  საქართველოში, ფერმიდან საცალო ვაჭრობამდე მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგების შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ქვეყნისა და რეგიონული დონეზე ჩატარებული რამდენიმე კვლევა აჩვენებს, რომ სურსათის დანაკარგები ძირითადად წარმოიქმნება პირველად წარმოებაში, განსაკუთრებით მარცვლეულის

და ბოსტნეულის წარმოებაში. ძირითადი გამოწვევების წარმოადგენს ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ბაზრის ინტეგრაციის ნაკლებობა, სამაცივრე შენახვის მაღალი ხარჯები და არაეფექტური ღირებულებათა ჯაჭვები (FAO, 2014).

- **ორგანული/ქალაქში წარმოქმნილი ნარჩენები -** ქვეყნის ნაგავსაყრელებში ნარჩენების 40%-ზე მეტი ორგანულია, რომელთა დიდი ნაწილიც სურსათს წარმოადგენს (CENN - ნარჩენების შემადგენლობის ანგარიში). დადგენილი იქნა, რომ 2020 წელს საქართველოს ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი, ურბანულ ტერიტორიებზე, შეადგენდა საშუალოდ 0.95 კგ-ს ერთ სულ მოსახლეზე - დღეში, ხოლო 0.54 კგ/მ/დღე - სოფლის დასახლებებში. 2020-2021 წლებში საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების საერთო მოცულობა გაიზარდა. 2020 წელს იგი შეადგენდა 1,061,007 ტონას, ხოლო 2021 წელს - 1,104,952 ტონას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022).
- **სურსათის საერთო ნარჩენი -** საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 576,588 ტონა სურსათი ნარჩენი წარმოიქმნება, რაც ოჯახების, საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და საცალო ვაჭრობაზე ნაწილდება (UNEP, 2021).
- **საოჯახო სურსათის ნარჩენი -** ოჯახში სურსათის ნარჩენები, ერთ სულ მოსახლეზე, წელიწადში დაახლოებით 101 კგ-ია, რაც საერთო ჯამში 403,573 ტონას შეადგენს. ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია ზედმეტი სურსათის შეძენა, არასწორი დაგეგმვა და გადანაწილება, კომპოსტირების და დარჩენილი სურსათის მართვის კარგი პრაქტიკის შეზღუდული გამოყენება ან არ გამოყენება (UNEP, 2021).
- **სურსათით მომსახურების სექტორი (საზოგადოებრივი კვების ობიექტები) -** სურსათით მომსახურებაში, ერთ სულ მოსახლეზე სურსათის ნარჩენები 28 კგ-ია, რაც წლიურად დაახლოებით 110,504 ტ-ს შეადგენს (UNEP, 2021). **საცალო ვაჭრობის სექტორი -** საცალო ვაჭრობიში სურსათის ნარჩენებმა ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 16 კგ შეადგინა, რაც წლიურად 62,511 ტონას შეადგენს (UNEP,2021). ნარჩენების წარმოქმნა ხშირ შემთხვევებში გამოწვეულია სურსათის შეფუთვისა და ვადების დარღვევით, ჭარბი მიწოდებით.
- **გარემოზე გავლენა -** შეფასების მიხედვით, საქართველოში სურსათის ნარჩენებმა შესაძლოა გამოიწვიოს 797,448-დან 996,809 ტონამდე CO_2-ის ექვივალენტი ემისია (UNEP, 2021).

3.2.სურსათის დონაციის და გადანაწილების პოტენციალი

საქართველოში, ყოველწლიურად, დაახლოებით 9 – 12 მილიონი ლარის ღირებულების სურსათი შეიძლება იქნეს აღდგენილი და საჭიროების მქონე პირებისთვის მიწოდებული. ეს მონაცემები მოცემულია FAO-ს 2019 წლის კვლევაში (გამოუქვეყნებელი), სახელწოდებით - „სურსათის აღდგენა და გადანაწილება საქართველოში, 2019“.

მუნიციპალური სასადილოები და საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორებიცაა „კარიტასი საქართველო“ და საერთაშორისო ჰუმანიტარული გაერთიანება „კათარზისი“, უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან სასურსათო მომსახურებებს. მაგალითად, „კარიტას საქართველოს“ სასადილოს პროგრამები ფუნქციონირებს თბილისში და ქუთაისში, სადაც ისინი მიზნად ისახავენ მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, დაბალი შემოსავლის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას. 2020 წელს „კათარზისის“ სასადილო მოემსახურა 80,000 ბენეფიციარს, ხოლო მისი არსებობის განმავლობაში გასწია დაახლოებით 3.11 მილიონი მომსახურება (ISET, 2022). მიუხედავად ამ სერვისებისა, საჭიროებების მქონე მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეოთხედი იღებს დახმარებას. მძიმე კვებითი დაუცველობა ეხება საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 9.5%-ს.

საქართველოში წლიურად დაახლოებით 600 000 ტონა სასურსათო ნარჩენი წარმოიქმნება, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან დანაკარგს მოსახლეობის მაღალი სიღარიბისა და სასურსათო დაუცველობის მაჩვენებლების გათვალისწინებით. (UNEP, 2021). სურსათის ნარჩენები ზრდის საზოგადოებრივ ხარჯებს ნარჩენების მართვისა და სურსათის ფასების ზრდის თვალსაზრისით, რაც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას მოწყვლად ჯგუფებზე. დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისში და ბათუმში, მუნიციპალიტეტებმა 2020 წელს 24.7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის უფასო სურსათის პროგრამებზე (ISET, 2022).

მოცემული მონაცემები ხაზს უსვამს FLW-ის მართვის ეფექტური მექანიზმების საჭიროებას და აუცილებელს ხდის სურსათის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას FLW-ის შემცირებისა და სურსათის დონაციის ინიციატივებით.

3.3.კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩო მხარს უჭერს სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების წარმოშობის პრევენციასთან, შემცირებასთან, სურსათის ნარჩენების დაგროვების მართვასთან, სურსათის შეწირულებასა და გადანაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობების რეგულირებას.

<u>კანონმდებლობა</u>

- **საქართველოს კანონი სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულების შესახებ".** კანონი მიზნად ისახავს სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ ეტაპზე სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების წარმოშობის პრევენციას, შემცირებას და სურსათის შეწირულების, აღდგენისა და გადანაწილების

წახალისებას, ასევე კანონი უზრუნველყოფს სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირებისა და სურსათის გადანაწილების ხელშეწყობისთვის გენდერულად პასუხისმგებლობიანი პოლიტიკისა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

- **FLW-ის კანონის განმახორციელებელი ნორმატიული აქტებია** **საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N149 დადგენილება - „სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“,** რომლის მიზანია სურსათით საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა. იგი აწესრიგებს სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ასევე განსაზღვრავს სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის პირობებს და პროცედურებს.
- **საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის დადგენილება N161 – „სურსათის შეწირულებისა და გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ**, რომელიც არეგულირებს ჭარბი სურსათის შეწირულობისა და გადანაწილებისათვის სავალდებულო პირობებს და სურსათის შეწირულობასთან, აღდგენასა და გადანაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.
- **მხარდამჭერი ჩარჩო კანონმდებლობა - ნარჩენების მართვის კოდექსი** და **სურსათის/ცხოველის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი** მხარს უჭერს FLW-ის შემცირების კანონს, ნარჩენების მართვისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების უზრუნველყოფით.

<u>პოლიტიკა</u>

თანამშრომლობამ საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის FAO-სა და ევროკავშირთან, გამოკვეთა ქვეყანაში სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების სტრატეგიული კონტურები.“ ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030’ და „ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022-2026“ წარმოადგენს საბაზისო სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებიც ადგენენ სტანდარტებს ნარჩენების შემცირებისა და სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, რაც თავის მხრივ თავსებადია სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვასთან.

- **ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობა** - ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველოს FLW რეგულაციები უფრო მეტად შეესაბამება ევროკავშირის სურსათის უვნებლობისა და ნარჩენების მართვის ჩარჩო-დოკუმენტებს. აღნიშნული შესაბამისობა ხელს უწყობს საქართველოს, რომ მონაწილეობა მიიღოს **ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმაში,** ნარჩენების შემცირების, რესურსების აღდგენისა და გარემოს მდგრადობის საერთო მიზნების გამყარების თვალსაზრისით (**საქართველოს კანონი სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულების შესახებ**").

4. ხედვა და პრინციპები

4.1.ხედვა

ქვეყანაში მდგრადი სასურსათო სისტემები, რომელიც ამცირებს სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენებს, ზრდის სასურსათო უსაფრთხოებას, ხელს უწყობს გარემოს დაცვას და შეესაბამება გლობალურ სტანდარტებს.

4.2.ძირითადი პრინციპი

სურსათის მიწოდების სრულ ჯაჭვში, FLW- ის შესამცირებლად, ეფექტური, სისტემური მიდგომის და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და მისი შემდგომი გაუმჯობესება.

4.3. ამოცანები

4.3.1.სურსათის უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება -მოწყვლადი ჯგუფებისთვის სურსათის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სურსათის დონაციისა და გადანაწილების სათანადო პრაქტიკის დანერგვით.

4.3.2. გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა - FLW-ის ეფექტური მართვით სურსათის განადგურების ეკოლოგიური შედეგების შემცირება, რაც ასევე მოიცავს სათბურის აირების გამოყოფის შემცირებას და ბუნებრივი რესურსების დაცვას.

4.3.3. სურსათის დონაციისა და გადანაწილების პრაქტიკული განხორციელება- არსებული საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისად, სურსათის უვლებლობის, მიკვლევადობის და ჰიგიენის მოთხოვნების გათვალისწინებით, სურსათის დონაციის პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა.

4.3.4.საზოგადოების და ინსტიტუციური ცნობიერების ამაღლება - FLW-ის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლება საზოგადოებასა და ინსტიტუტებში. მიზნობრივი კამპანიების, საგანმანათლებლო ინიციატივებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, შესაბამისი საინფორმაციო და საგანამათლებლო მასალების მომზადება, ნარჩენების შემცირების და სურსათის კონსერვაციის კულტურის დამკვიდრება.

4.3.5.თანამშრომლობითი პარტნიორობების ჩამოყალიბება სურსათის ეფექტური აღდგენის და გადანაწილებისთვის - მთავრობას, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობითი პარტნიორობის დამყარება და გაძლიერება სურსათის აღდგენისა და გადანაწილების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ეს თანამშრომლობა დაფუძნებული იქნება საჯარო-კერძო პარტნიორობაზე, სადაც მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ დაწესებულებების გამოყოფას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

მართავენ ოპერაციულ საქმიანობას, როგორც ეს მხარდაჭერილია ევროკავშირისა და FAO-ს მიერ.

4.3.6.თანახმობის უზრუნველყოფა და მონაცემების შეგროვების გაუმჯობესება - მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშგების სტრუქტურების შემუშავება, რათა აღირიცხოს და გაიზომოს სურსათის დანაკარგები და ნარჩენები, სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე,

4.3.7.სურსათის ღირებულებათა ჯაჭვის / აგროსასურსათო სისტემების ეფექტურობის გაზრდა - FLW-ის შემცირების მიზნით, სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეების შესაძლებლობების გაძლიერება, მოვლის, შენახვისა და გადამუშავების საუკეთესო პრაქტიკის სწავლების გზით. საინვესტიციო პროექტების განხორციელება ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურისთვის. როგორიცაა გაუმჯობესებული საწყობები, შეფუთვა და ლოჯისტიკა.

FLW-ის შემცირების მიზნით მდგრადი პრაქტიკებისა და რესურსების ეფექტური პროცესების მხარდაჭერით, საქართველო შეძლებს გააუმჯობესოს სურსათის უვნებლობა, შეამციროს გარემოზე ზემოქმედება და შექმნას უფრო მდგრადი აგროსასურსათო სისტემა.

5. სექტორული პრიორიტეტები

5.1. პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო

- **სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება** - FAO -ს და ევროკავშირის მიერ ტექნიკური დახმარება მიეწოდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისათვის. ამ სტრატეგიაში დეტალურად იქნება აღწერილი კონკრეტული მექანიზმები და სავარაუდო შედეგები, რაც FLW-ის პრევენციისა და შემცირების მიზნით ქვეყანაში იქნება მიღწეული სტრატეგიის განხორციელების შედეგად;
- **ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა** - სურსათის დონაციის ეროვნული სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სურსათის აღდგენისა და გადანაწილების სტანდარტებთან. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირის მდგრადი განვითარების იმიზნებში.
- **საგადასახადო შეღავათები და სუბსიდიები** - საგადასახადო შეღავათების შემოღება ჭარბი სურსათის დონაციის წახალისებისათვის, რომელიც ეფუძნება სხვა ქვეყნებში განხორციელებულ წარმატებულ პრაქტიკებს. პოტენციური შეღავათები შეიძლება მოიცავდეს დღგ-ს შემცირებას და სხვა ფინანსურ სარგებელს, რათა გამარტივდეს სურსათის დონაციის საქმეში მონაწილე სუბიექტების ოპერაციული ხარჯები.

- **სურსათის უვნებლობის რეგულაციების გაუმჯობესება სურსათის შეწირულობისათვის** - სურსათის შემოწირულობებისთვის, სურსათის უვნებლობის და ხარისხის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფა, მათ შორის სურსათის ჰიგიენის, სურსათის ეტიკეტირების რუტინული შემოწმება და სურსათის სენსორული ანალიზი.

5.2. სურსათის მიწოდების ჯაჭვში თანამშრომლობის წახალისება

- **ეროვნული სურსათის ბანკის მოდელის განვითარება** - შეიქმნას პილოტური სურსათის ბანკები, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ სივრცეს მინიმალური ხარჯებით, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ ოპერაციებს, შესრულებაზე დაფუძნებული შეთანხმებების ფარგლებში. ევროკავშირის მხარდაჭერა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ობიექტების რეაბილიტაციაში, აღჭურვილობის შეძენასა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების გადამზადებაში, ევროპული სურსათისს ბანკების ფედერაციის (FEBA) სტაჟირების პროგრამების მეშვეობით.
- **კერძო-საჯარო პარტნიორული ინიციატივების (PPP) ხელშეწყობა** - PPP ინიციატივები ძალიან მნიშვნელოვანია FLW შემცირებისთვის, რადგან აერთიანებს სამთავრობო მარეგულირებელ ჩარჩოებსა და კერძო სექტორის ინოვაციებსა და ეფექტურობას. PPP-ების მეშვეობით, დაინტერესებული მხარეები, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, იღებენ და ცვლიან ცოდნასა და რესურსებს, FLW ეფექტური მართვის სტრატეგიის შესამუშავებლად.
- **საცალო ვაჭრობის სექტორის და HORECA ჩართულობა** - პარტნიორობა საზოგადოებრივი კვების ობიექტებთან, სასტუმროებთან, რესტორნებთან, ქეითერინგ ბიზნესებთან და საცალო ვაჭრობის ობიექტებთან, სურსათის დონაციის სისტემების ფორმალიზებისთვის, სურსათის დამუშავებისა და განაწილების პრაქტიკებზე, სექტორზე მორგებული მითითებებით. ეს მოიცავს სასაწყობე ჯაჭვის ლოჯისტიკურ მხარდაჭერას, რაც აუცილებელია სურსათის აღდგენისა და გადანაწილების პროცესში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შენარჩუნებისთვის.

5.3. სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შესახებ მონაცემების შეგროვება

- **სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების მონაცემთა შეგროვების ჩარჩოს შექმნა** - დახმარება MEPA-სა და GEOSTAT-ს, მიწოდების ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე, FLW -ის გაზომვის ხელსაწყოების დამკვიდრებაში, რომელიც შეესაბამება FAO-ს სურსათის დანაკარგების ინდექსის და UNEP-ის სურსათის ნარჩენების ინდექსის მეთოდოლოგიებს, აგრეთვე FLW სტანდარტებს. თანამშრომლების ტრენინგი და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება გაძლიერებს მონაცემთა შეგროვების პრაქტიკას, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური პოლიტიკისა და ინტერვენციების განხორციელებას.

- **ავტორიზებული საქველმოქმედო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა** - ავტორიზებული საქველმოქმედო ორგანიზაციების ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ სურსათის დონაციები. ეს მონაცემთა ბაზა იქნება სანდო წყარო დონორებისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ თანამშრომლობენ ორგანიზაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ დამტკიცებულ კრიტერიუმებს უვნებელი სურსათის დამუშავების, შენახვის და გადანაწილების შესახებ.

5.4. საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება

- **მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების კამპანიები** - ქვეყნის მასშტაბით შემუშავდება ინიციატივები საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით სკოლების, მომხმარებლებისა და პირველადი მწარმოებლებისთვის, რათა ისინი გაეცნონ სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკური შედეგებს. კამპანიები ხელს შეუწყობს მდგრად ქცევების ჩამოყალიბებას, მათ შორის პასუხისმგებლიანი შესყიდვები, სათანადო შენახვა და ნარჩენების შემცირების პრაქტიკები.
- **ქცევის ანალიზი:** მომხმარებელთა ქცევისა და დამაბრკოლებელი ბარიერების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს FLW წარმოქმნას. სიღრმისეული ანალიზის ჩატარებით შესაძლებელია გამოვლინდეს ძირითადი სფეროები, სადაც ინტერვენციები ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს. ეს მოიცავს ისეთი ფაქტორების შესწავლას, როგორიცაა მომხმარებელთა ცოდნა, დამოკიდებულებები და ჩვევები სურსათის ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების, მომზადებისა და მოხმარების შესახებ.
- **მწარმოებელზე ორიენტირებული კამპანიები** - ცნობიერების გაზრდა პირველადი მწარმოებლების, განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებლების შორის, კამპანიების მეშვეობით, რომელიც განხორციელდება ადგილობრივ აქტივობის ჯგუფებთან (LAG) პარტნიორობით, რომლებიც აქტიურად მუშაობენ მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში. ეს ხელს შეუწყობს FLW შემცირებას და გააუმჯობესებს წარმოების დონეზე FLW მართვის პრაქტიკებს.

6. FLW-ს წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეთა შესაძლებლობების განვითარება

- **მოსავლის აღების შემდგომი პრაქტიკების გაუმჯობესება:** პროგრამული მხარდაჭერა და ტრენინგები მწარმოებლებისთვის და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეებისთვის (მაგ., დამამუშავებლები, საბითუმო გაყიდვები) მოსავლის აღების დროს და შემდეგ გამოსაყენებლ პრაქტიკებზე, სურსათის უვნებლობისა და

ხარისხის სტანდარტებზე, მოსავლის აღების შემდგომ დამუშავების, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და ტრანსპორტის შესახებ;

- **საცალო ვაჭრობის და HORECA ტრენინგები და პროგრამები:** ტურიზმისა და საცალო ვაჭრობის სექტორებისთვის ტრენინგის შეთავაზება ეფექტური FLW მენეჯმენტის, სურსათის უვნებელი აღდგენისა და გადანაწილების პროტოკოლების შესახებ, რათა გაზარდოს მათი მონაწილეობა დონაციის მცდელობებში.

7. სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების ინტეგრირება ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკებში

FLW-ს ინტეგრაცია წრიული ეკონომიკის პრაქტიკებში მაქსიმალურად ზრდის ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებელს, FLW-ის წრიული ეკონომიკის პრაქტიკებში ჩართვით, საქართველო შეძლებს გააძლიეროს თავისი გარემოსდაცვითი მდგრადობის მიზნები, შეამციროს ნარჩენებთან დაკავშირებული ხარჯები და შექმნას ინოვაციური ეკონომიკური საქმიანობები, რომლებიც FLW-ს იყენებს დადებითი ზემოქმედების მისაღწევად. FLW-ის იერარქიის შესაბამისად.

- **ცხოველთა კვება (REUSE)**: უვნებელი ჭარბი სურსათის გადამუშავება და მიწოდება ცხოველის საკვებად ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებას და შეამცირებს მოთხოვნას ცხოველის საკვების ახალ რესურსებზე. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო რესურსების შენარჩუნებას და უზრუნველყოფს ჭარბი სურსათის ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან გამოყენებას.
- **ინდუსტრიული გამოყენება და გადამუშავება** (RECYCLING AND RECOVERY): სურსათის ნარჩენები, რომლებიც არ შეიძლება აღდგეს სურსათად ან ცხოველების საკვებად, შეიძლება რეციკლირების ან გადამუშავების გზით გადაიქცეს ალტერნატიულ პროდუქტებად, მათ შორის ბიოსაწვავად, ბიოპლასტიკად ან პროტეინად ცხოველების კვებისათვის. ეს სამრეწველო დანიშნულება ხელს უწყობს არაგანახლებადი რესურსებისადმი დამოკიდებულების შემცირებას, რაც ხელს უწყობს უფრო მდგრად ეკონომიკას.
- **კომპოსტირება და ანაერობული გარდაქმნა** (RECYCLING AND RECOVERY): სურსათის ნარჩენები და სურსათის უვარგისი ნაწილები შეიძლება გადამუშავდეს საკვები ნივთიერებებით მდიდარ კომპოსტად ან გარდაიქმნას ენერგიად ანაერობული პროცესებით. კომპოსტირება გააუმჯობესებს ნიადაგს ხოლო ანაერობული პროცესებით გამომუშვდება განახლებული ენერგია, რაც შეამცირებს სათბურის აირების (GHG) გამოყოფას ორგანული ნარჩენებიდან. ორივე მეთოდი ავსებს ნუტრიენტების ციკლს, უბრუნებს ძვირფას ელემენტებს ეკოსისტემას და აუმჯობესებს ნიადაგის ხარისხს.

8. განხორციელების ჩარჩო

8.1.მონაწილე მხარეების როლი და პასუხისმგებლობები

- **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA):** MEPA არის ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია FLW-თან დაკავშირებული პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაზე საქართველოში. სურსათის დონაციის საქმიანობების კოორდინაციასთან ერთად, MEPA უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობისა და ნარჩენების მართვის განხორციელებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების შემუშვებას. ანალიზის საფუძველზე MEPA, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მოწინავე პრაქტიკების ადგილზე გაცნობითა და შესწავლით იღებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, შეიმუშვებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროგრამებს, შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს და სხვა საინფორმაციო მასალებს. MEPA ასევე უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს და ანგარიშგებას FLW-ის ტენდენციებზე GEOSTAT-თან თანამშრომლობით.
- **სურსათის ეროვნული სააგენტო** (NFA): NFA მნიშვნელოვან როლს ასრულებს სურსათის უვნებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფაში. მისი პასუხისმგებლობაა სურსათის უვნებლობის და ხარისხს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განსაზღრული მოთხოვნების შესრულების შესაბამისობის სახელმწიფო კონტროლი. NFA აწარმოებს უფლებამოსილი სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციების რეესტრს.
- **ადგილობრივი თვითმმართველობები:** ადგილობრივი მთავრობები ხელს უწყობენ FLW შემცირებას მუნიციპალურ დონეზე სურსათის დონაციის საპილოტე პროექტების მხარდაჭერით და ნარჩენების მართვის ადგილობრივ სტრატეგიებში FLW მენეჯმენტის ინტეგრირებით. ისინი უზრუნველყოფენ ლოჯისტიკურ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას სურსათის ბანკებისთვის, საზოგადოებრივი გადანაწილების ქსელებისთვის და FLW-ის მონაცემთა შეგროვების ინიციატივებისთვის. მუნიციპალიტეტებმა ასევე უნდა განავითარონ პარტნიორული ურთიერთობები ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა გააუმჯობესონ სურსათის გადანაწილების არეალი, დანერგონ ლოკალიზებული ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მხარი დაუჭირონ ნარჩენების შემცირების პრაქტიკებს, მათ შორის საცალო და სასტუმრო სექტორებში.
- **კერძო სექტორი:** კერძო სექტორი, რომელიც მოიცავს აგროსასურსათო ბიზნესს, საცალო ვაჭრობას და HORECA-ს ინდუსტრიას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს FLW-ის შემცირების ღონისძიებების განხორციელებაში სურსათის მიწოდების ჯაჭვში. მათ ასევე მონაწილეობა უნდა მიიღონ სურსათის შემოწირულობის პროგრამებში სურსათის ბანკებთან და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან

თანამშრომლობით, ჭარბი, უვნებელი სურსათის მიწოდებით და FLW -ის შესახებ მონაცემების მიწოდებით.

- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSO)**: CSO-ები მხარს უჭერენ FLW-ის შემცირების და სურსათის დონაციის აქტივობებს, სურსათის აღდგენის პროგრამების კოორდინირებით და მოწყვლადი მოსახლეობისთვის უვნებელი, ჭარბი სურსათის გადანაწილებით. ისინი მართავენ ლოჯისტიკას, მათ შორის შენახვას, ტრანსპორტირებას და სურსათის გადანაწილებას, მუშაობენ მუნიციპალიტეტებთან FLW ინიციატივების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. CSO-ები უზრუნველყოფენ ცნობიერების ამაღლების, საზოგადოების ტრენინგების განხორციელებას FLW-ის შემცირების მნიშვნელობაზე და მდგრადი FLW-ის პრაქტიკების ადვოკატირებაში.

- **საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები**: საერთაშორისო ორგანიზაციები, - FAO და EU ორგანიზაციები, კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნიკური ექსპერტიზის, დაფინანსების და უნარების განვითარებისთვის FLW ინიციატივების უზრუნველყოფაში. ეს ორგანიზაციები, FLW-ის შემცირებისათვის, მხარს უჭერენ MEPA-სა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებს, ეროვნული მართვის სისტემების გლობალურ სტანდარტებთან თავსებადობის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებაში. დონორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ დაფინანსებას პილოტური პროექტებისთვის, მათ შორის FLW-ის შემცირებასა და სურსათის შეწირულებასთან დაკავშირებით ინოვაციური პროექტების, სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შესამცირებლად სამეცნიერო კვლევების, უახლესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მხარდაჭერას, განსაკუთრებით – სურსათის ვარგისობის ვადებთან დაკავშირებით, ასევე მხარდაჭერას ინფრასტრუქტურისთვის და ტრენინგ პროგრამებისთვის, სახელმძღვანელო მითითებების და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშვებისათვის, მხარს უჭერენ მიზანმიმართულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს FLW-ის შემცირების კულტურის გასამყარებლად საქართველოში. ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გააუმჯობესებს საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო მდგრადი განვითარების მიზნებთან და უზრუნველყოფს FLW ინიციატივების ეფექტურ განხორციელებას მიწოდების ჯაჭვის მასშტაბით.

8.2.ძირითადი საქმიანობები და შედეგები

- **სურსათის დონაციის სახელმძღვანელო პრინციპების, მეთოდური მითითებების, რეკომენდაციების ან სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშვება** - FAO-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მხარდაჭერით, MEPA შეიმუშვებს სურსათის დონაციისა და გადანაწილების სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო სახელმძღვანელო პრინციპებს, მეთოდურ მითითებებს, რეკომენდაციებს და სხვ. სახელმძღვანელო დოკუმენტებს. რაც ხელს

შეუწყობს FLW - ს შემცირებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ, გარემოსდაცვითი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- **პილოტური პროექტები სურსათის ბანკებისთვის** - წყალტუბოში[1] შეიქმნება სურსათის ბანკის პილოტური პროექტი, როგორც სურსათის აღდგენისა და გადანაწილების მოდელი, რომელიც გამოიყენებს საჯარო-კერძო პარტნიორობის მიდგომას. მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ დაბალღირებულებიან საფინანსო და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას, ხოლო CSO-ები მართავენ ყოველდღიურ ოპერაციებს ხელშეკრულებების მიხედვით. EU-ს მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განახლებას, აღჭურვილობას და CSO თანამშრომლების ტრენინგებს, FEBA-ს სტაჟირების პროგრამის მეშვეობით. პილოტური პროექტების საშუალებით განხორციელდება ოპერაციული მოდელების შეფასება და საუკეთესო პრაქტიკების განსაზღვრა, რომლებიც პერსპექტივაში ხელს შეუწყობს სურსათის ბანკების პოტენციურ გაფართოებას და საქართველოს ქალაქებსა და სოფლის რეგიონებში სურსათის ბანკების ქსელის გაზრდას.
- **მონაცემების შეგროვების და ანგარიშგების სისტემა** - შეიქმნება FLW-ის მონაცემთა შეგროვების ეროვნული ჩარჩო GEOSTAT-თან პარტნიორობით, რომელიც დააკავშირებს FAO-სა და UNEP-ის მეთოდოლოგიებს, აგრეთვე FLW-ის სტანდარტს, რათა გაზომოს და განახორციელოს FLW-ის ანგარიშგება სურსათის მიწოდების სრულ ჯაჭვში. MEPA-სა და GEOSTAT-ის თანამშრომლებისთვის შედგება ტრენინგის პროგრამები მონაცემთა შეგროვების მეთოდების, ანალიზისა და ანგარიშგების შესახებ, რაც გააძლიერებს ზუსტი და სანდო მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარს. რეგულარული მონაცემთა მიმოხილვები ხელს შეუწყობს პოლიტიკის ადაპტაციას და დაეხმარება საქართველოს FLW-ის შემცირების ინიციატივების მუდმივ გაუმჯობესებაში.
- **ტრენინგისა და უნარების განვითარების პროგრამები** - განახორციელდება მიზნობრივი ტრენინგის სესიები სურსათის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილე ბიზნესოპერატორებისთვის, FLW-ის პრევენციის საუკეთესო პრაქტიკებზე, უვნებელ დამუშავებასა და სურსათის დონაციაზე. HORECA-სა და საცალო სექტორებისთვის სპეციალიზებული პროგრამები მოიცავს სურსათის აღდგენის და გადანაწილების პროტოკოლებს. გარდა ამისა, მოხდება CSO-ების უნარების განვითარება სურსათის ბანკების და ადგილობრივი სურსათის პროგრამების მართვაში.
- **ცირკულარული ეკონომიკის პილოტური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა** - შეიქმნება პილოტური პროექტები, რომლის მიზანი იქნება FLW-ის ინტეგრაცია ცირკულარულ ეკონომიკაში. (უვნებელი ნარჩენი სურსათით ცხოველების საკვების წარმოება, სურსათის ნარჩენების ბიოდიზელად ან ბიოპლასტიკებად გადამუშვება,

[1] ევროკავშირის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, მიმდინარეობს საპილოტე პროექტი, რომლის სამიზნე მუნიციპალიტეტად შერჩეულია წყალტუბო

კომპოსტისა წარმოება და სხვ.). მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას.

- **ეროვნული ცნობიერების ამაღლების კამპანია FLW-ის შემცირებაზე** - ცნობიერების ამაღლების მრავალმხრივი კამპანია მომხმარებლების, ბიზნესოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა საქართველოში დამკვიდრდეს და გავრცელდეს FLW-ის შემცირების კულტურა. ამისთვის გამოყენებული იქნება მედიასაშუალებები, საზოგადოებრივ ღონისძიებები, სასწავლო ტრენინგები და სხვა საჭირო აქტივობები. სკოლებში, ადრეული ასაკიდან მდგრადი პრაქტიკების გასავითარებლად, დაინერგება ასაკის შესაბამისი საგანმანათლებლო მასალები და აქტივობები.

9. კონცეფციის განხორციელების ვადა

კონცეფციის განხორციელების ვადაა 2025-2028 წწ.

დასკვნა

კონცეფცია ეხება არა მხოლოდ FLW-ის შემცირების მიმდინარე მიზნებს, არამედ აერთიანებს FLW მენეჯმენტს, როგორც საქართველოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ძირითად კომპონენტს. იგი წარმოადგენს საფუძველს საქართველოსთვის FLW-ის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისათვის.

მკაფიო ჩარჩოს ჩამოყალიბებით და კონკრეტული მიზნების დასახვით, კონცეფცია გზას უხსნის FLW მენეჯმენტის უფრო სტრუქტურირებულ და მასშტაბურ მიდგომას. როგორც მომავალი პოლიტიკის საფუძველი, ის ხაზს უსვამს თანამშრომლობითი პარტნიორობის, მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და მიზნობრივი ინტერვენციების მნიშვნელობას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას.